ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისფ

სიქოლოგიისადაგანათლებისმეცნიერებათაფაკულტეტისსაბჭოსსხდომის

ოქმი N 16

13.12.2021

განსახილველი საკითხები:

1. ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ანგარიშის მოსმენა
2. ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა
3. განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის სტრუქტურის ცვლილება
4. ცვლილებები ფსიქოლოგიის დეპარტამენტი სკომიტეტის შემადგენლობაში

საბჭოსთავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტისსაბჭოსწევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალისურმანიძე, მზია წერეთელი, ია კუტალაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი.

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, ია აფთარაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე

ასისტენტ პროფესორები:

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა 20 წევრი.

სხდომა ჩატარდა ზუმის პლატფორმაზე.

განიხილესშემდეგისაკითხები:

1. **ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ანგარიშის მოსმენა.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა 2021 წელს ბიუჯეტის ანგარიში. მან მოახსენა საბჭოს, რომ კოვიდ-19 თ გამოწვეული პანდემიის პირობებში ვერ მოხერხდა პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიბებში მონაწილეობის თანხების ათვისება, ასევე სტუდენტებისთვის საზეიმო მისაღები და დამამთავრებელი ღონისძიბებების მოწყობა. საბჭიოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკუმულირებული თანხების ხარჯზე, 2021 წლის ივლისიდან 30%-ით გაიზარდა აკადემიური პერსონალის ხელფასი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა ფაკულტეტისთვის და თსუ-ის ადმინისტრაციასთან ფაკულტეტის ადმინისტრაციის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია.

ასევე აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსომალის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად და მაღალ იმპაქტ-ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებისთვის დაჯილდოვდა 7 სტატია და გაიხარჯა 17500 ლარი. 2021 წელს დაფინანსდა სტუდენტური ჟურნალის ხარჯები - 2423 ლარის ოდენობით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა საფეხურის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების და სამეცნიერო აქტივობის ხელშესაწყობად. პირველკურსელების მიღებისთვის (სუვენირებისთვის) დაიხარჯა 1850 ლარი. აღნიშნული სუვენირები დასაწყობებულია და გაიცემა სტუდენტებზე, როგორც კი მოიხსნება პანდემიის რეგულაციები და შესაძლებელი იქნება შეკრებების ორგანიზება. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რეცენზირებისთვის გაიცა 650 ლარი; ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატიების თარგმნა და რედაქტირება, 4690 ლარის ოდენობით. მისასალმებელია, რომ მაგდებურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, თსუ განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სამაგისტრო პროგრამა "პროფესიული განათლება/ტრენინგები და ადამიანური რესურსების განვითარება". აღნიშნული პროგრამა განხორციელდება ინგლისურ ენაზე. აკრედიტაციის მიზნებისთვის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაკომპლექტებულ ექსპერტთა კორპუსს უხელმძღვანელებს უცხოელი ექსპერტი. აქედან გამომდინარე, პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი წარდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. ამ ეტაპზე ითარგმნა პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და 3 სილაბუსი ქართულიდან ინგლისურ ენაზე, რაც დაფინანსდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან 1875 ლარის ოდენობით. მოწვეულ პედაგოგებზე წლის განმავლობაში დაიხარჯა

2. **ფაკულტეტის 2022 წლისბიუჯეტისგანხილვა**

ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა ფსიქლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. მან დეტალურად გაიარა ბიუჯეტის მუხლები, ისაუბრა ცვლილებებზე, რომლებიც აისახა ახალ დოკუმენტში. ეს ცვლილებები ეხება: აკადემიური პერსონალის თანამდებობრივ სარგოს, მივლინებას (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევ ქვეყნის გარეთ), წარმომადგენლობით ხარჯებს და სხვა. ფაკულტეტის ბიუჯეტი წინასწარ გადაეგზავანთ საბჭოს წევრებსგასაცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 489600 ლარით გაიზარდა ფაკულტეტის ბიუჯეტი. ახალ ბიუჯეტში აისახა პროფესორების ხელფასის 30%-იანი მატება, პროფესორების მიერ სამეცნიერო ხარისხიანი პროდუქციის გამოქვეყნების წამახალისებელი დასაჯილდოებელი თანხა, სტუდენტური ჟურნალის და ფაკულტეტთან არსებული ფსიქოლოგიური ჟურნალის ხარჯები.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა ე. ფირცხალავამ, ლ. არუთინოვამ, პროფესორებმა ლ. სურმანიძემ, მ. წერეთელმა, ა. ქიტიაშვილმა.

აღინიშნა, რომ ძალიან კარგია და მნიშვნელოვანია ფაკულტეტის ბიუჯეტის ზრდა. ამავე დროს, პროფესორებმა აღნიშნეს, რომ სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად ბიუჯეტში არაა გათვალისიწინებული თანხები. ამავე დროს, პროფესორს მოეთხოვება სამეცნიერო მუშაობა, კვლევა, სამეცნიერო პროდუქციის გამოქვეყნება, რასაც პროფესორები ან საკუთარი ხარჯებით, ან გრანტებით ახერხებენ. ა. ქიტიაშვილმა და ლ. სურმანიძემ აღნიშნეს, რომ სადოქტორო პროგრამის ახალი სტანდარტით აუცილებელია კვლევის საუნივერსიტეტო მხარდაჭერა და კონკრეტული ბიუჯეტის წარმოდგენა, რაც მომავლისთვის გასათვალისწინებელი იქნება ბიუჯეტის ფორმირებისას. მ. წერეთელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია დოქტორანტების გადასახადის გარკვეული პროცენტი გამოიყოს კვლევების დაფინანსებაზე და ამაზე საჭიროა აქტიური მუშაობა და წინადადებების შემუშავება.

კენჭი უყარეს 2022 წლის წარმოდგენილ ბიუჯეტს და დაამტკიცეს ერთხმად.

საბჭომ კენჭი უყარა ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათაფაკულტეტის2022 წლის ბიუჯეტს.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

3. განათლებისმეცნერებათადეპარტამენტისსტრუქტურისცვლილება

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმაფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა განათლების მეცნიერებათა ახალი სტრუქტურა, რომელის მიხედვითაც სტრუქტურაში გაჩნდა ორი ახალი ინსტიტუტი. მანამდე იყო მხოლოდ პედაგოგიკის ინსტიტუტი, ხოლო ახლა დაემატა ორი ახალი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი: მასწავლებელთა განათლებისა და ინტერდისციპლინური მიმართულების. შესაბამისად, დეპარტამენტში არსებული მიმართულებები გადანაწილდა სამ ინსტიტუტზე. კერძოდ: პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - განათლების თეორიის და განათლების პოლიტიკის მიმართულებები, მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - საგნის სწავლების მეთოდიკების და გამოყენებითი დიდაქტიკისა და კონსულტირების მიმართულებები, ინტერდისციპლინური მიმართულების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - განათლებაში ინტერდისციპლინური კვლევებისა და განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, რომ სასიხარულოა განათლების დეპარტამენტის გაფართოება, რადგან განათლების მეცნიერებები დღეს ძალიან მოთხოვნადი სფეროა, ხოლო განათლების სისტემა კი დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ამიტომ ნამდვილად აუცილებელია დივერსიფიკაცია. მართალია არაა საკმარისი კადრები, მაგრამ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს კადრების მოზიდვას განათლების მეცნიერებების მიმართულებით. აუცილებელია კონსულტაცია თსუ-ის იურიდიულ დეპარტამენტთან სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ფორმირების თაობაზე. ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის სტრუქტურის ცვლილება, რადგან ის თანამედროვე მოთხოვნებს და გამოწვევებს შეესაბამება. ინსტიტუტებში მიმართულებებზე შესაბამისად უნდა იყოს განაწილებული აკადემიური პერსონალი და თითო მიმართულებაზე მინიმუმ 2 წევრი მაინც უნდა იყოს.

საბჭომ კენჭი უყარა განათლებისმეცნერებათადეპარტამენტისსტრუქტურისცვლილებას.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტს დაემატოს მასწავლებელთა განათლებისა და ინტერდისციპლინური ინსტიტუტები

4. **ცვლილებებიფსიქოლოგიისდეპარტამენტისკომიტეტისშემადგენლობაში**

ხარისხის სამსახურის უფროსმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა ფსიქოლოგიისდეპარტამენტისკომიტეტისშემადგენლობის ცვლილების საკითხი. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, შემადგენლობაში იცვლება ორი ბაკალავრიტის, ორი მაგისტრანტურისა და ერთი დოქტორანტურის სტუდენტი. გათვალისწინებული ცვლილების მიხედვით, მან ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საბჭომ კენჭი უყარა ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავიშეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კომიტეტის ახალ შემადგენლობაში განხორციელდეს ცვლილება და ყოფილი წევრები ჩანცვლდნენ შემდეგი პირებით:

1. **ვალერი არავიაშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი)**
2. **ეთო დანდლიშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი)**
3. **ნატალია ლაღიძე (მაგისტრატურის სტუდენტი)**
4. **დიანა ამირეჯიბი (მაგისტრატურის სტუდენტი)**
5. **მაია ჯინჭარაძე (დოქტორანტურის სტუდენტი)**

საბჭოსთავმჯდომარე: პროფესორითამარგაგოშიძე]

საბჭოსმდივანი: ასოცირებულიპროფესორიირინეჟვანია